2-3160/23
05-03-2023

იურდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ანრი ოხანაშვილ

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების: სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი(დაჩი) ბერაიას, ვიქტორ ჯაფარიძის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტების: ,,უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' და ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე''(N 07-3/296; 22.02.2023).

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა 2023 წლის 2 მარტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი(დაჩი) ბერაიას, ვიქტორ ჯაფარიძის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: ,,უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' და ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე'' (N 07-3/296; 22.02.2023).

,,უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' კანონპროექტის მიხედვით წესრიგდება შემდეგი საკითხები: უცხოური ძალის აგენტისა და უცხოური ძალის ცნებების განმარტებები; სუბიექტის უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის საკითხი; უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის და სხვა სათანადო დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფის საკითხი; უცხოური ძალის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საკითხი.

,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე'' კანონპროექტით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას და ცნო განხილვისათვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ალექსანდრე ტაბატაძე

2-3155/23
03-03-2023

იურიდიულ საკითხთა კომიტეტს

საორგანიზაციო დეპარტამენტს

დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტებზე „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

(N07-3/296; 22.02.2023)

„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიზანია უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. წარმოდგენილი კანონპროექტი განსაზღვრავს უცხოური ძალის აგენტის ცნებას და შესაბამისი სუბიექტების უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციას, აგრეთვე, აწესრიგებს მათი საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონპროექტი ემსახურება მხოლოდ ინფორმირების მიზანს და არ სახავს ამოცანად უცხოური ძალის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტებისთვის ჩვეული საქმიანობის განხორციელების შეზღუდვას. მსგავსი კანონმდებლობა და პრაქტიკა არსებობს ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის აშშ, ავსტრალია, ისრაელი.

„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტით წესრიგდება შემდეგი საკითხები: უცხოური ძალის აგენტისა და უცხოური ძალის ცნებების განმარტებები; სუბიექტის უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის საკითხი; უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის და სხვა სათანადო დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფის საკითხი; უცხოური ძალის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაწესებას „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებული სუბიექტებისთვის, მათ მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას ან თაივსუფლების აღკვეთას.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა წარმოდგენილი კანონპროექტები „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და მხარი დაუჭირა მათ განხილვას საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკოლოზ სამხარაძე